აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

დიმიტრი გოშხეთელიანი

მათემატიკის სწავლების ეფექტურობის ამაღლება საშუალო სკოლის მესამე საფეხურზე

დისერტაცია განათლების დოქტორის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

ქუთაისი
2010

ნაშრომი შესრულებულია აკაკი წერეთლის
სახელმწიფო უნივერსიტეტში

სამეცნიერო
ხელმძღვანელები: **გიგლა ონიანი,**
საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი

ნიკოლოზ ნუცუბიძე, ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი

ოფიციალური
შემფასებლები: **სერგო თოფურია**
ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი

თამაზ მორალიშვილი,
პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი

დისერტაციის დაცვა შედგება 2010 წლის "_____" მარტს "____" სთ-ზე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე

მისამართი: 4600, ქუთაისი, თამარ მეფის ქ. №59, აუდიტორია №____
ავტორეფერატი დაიგზავნა 2010 წ. „_____" თებერვალს

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში
მისამართი: 4600, ქუთაისი, თამარ მეფის ქ.№59

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,
განათლების დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი **იმერ ბასილაძე**

I. ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა თავისი განვითარების ახალ ეტაპზე გადადის, რაც ძირეულად ცვლის მას. უკვე დაწყებულია რადიკალური რეფორმა, რომელიც მოიცავს არა მარტო ახალი საკანონმდებლო ბაზისა და კანონქვემდებარე ნორმატიულ დოკუმენტთა შექმნას, არამედ სწავლებისა და სწავლისადმი ახალ მიდგომებს.

მათემატიკის სწავლებაში ეფექტურობისა და ხარისხის ამაღლება ყოველთვის წარმოადგენდა საშუალო სკოლის ძირითად ამოცანას, თუმცა მის განსახორციელებლად ხშირად მიმართავდნენ არასწორ გზას, განსაკუთრებით ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში. სწავლების მთელი ნაკლოვანება იმაში მდგომარეობდა, რომ ხშირად არასწორად იყო მოაზრებული, რას ნიშნავს ნამდვილი ცოდნა მათემატიკაში და როგორ უნდა განხორციელდეს ამ ცოდნის შეძენის პროცესი.

ნამდვილი ცოდნა მათემატიკაში არ ნიშნავს მზა ფორმულების, თეორემების, ამოცანების მეხსიერებაში „ჩატვირთვას".

წლების მანძილზე უმაღლეს სასწავლებლებში დანერგილი მისაღები გამოცდები თანდათან გადაგვარდა. იგი გახდა არა აბიტურიენტთა ნამდვილი ცოდნა–განვითარების შემმოწმებელი, არამედ მხოლოდ იმის დამდგენი, თუ როგორ არის საგანგებოდ გაწვრთნილი პიროვნება გამოცდისათვის. ამიტომ იწერებოდა სხვადასხვა სახის გართულებული ამოცანები, რომელიც ამოსახსნელად საჭიროებდა მხოლოდ ხელოვნურ ტექნიკურ მანიპულაციებს.

ყოველწლიურად იბეჭდებოდა წინა წლის მისაღები გამოცდების ამოცანების შემცველი კრებულები. ამან გამოიწვია კრებულებისა და ამოცანების რიცხვის გაუმართლებელი ზრდა.

ამოცანებისა და კრებულების ამ ქაოსურ კარნავალში მოხვედრილმა აბიტურიენტებმა და მათმა მასწავლებლებმა (რეპეტიტორებმა) იპოვეს ამ რთული მდგომარეობიდან „მეცნიერული" გამოსავალი – ყველა საშუალებით ცდილობდნენ, მოსწავლეებისათვის ამოეხსნევინებინათ რაც შეიძლება მეტი ამოცანა თუ მაგალითი იმ მოტივით, რომ „ამის მსგავსი იქნებოდა გამოცდაზე". ასეთი მავნე პრაქტიკა აბსოლუტურად უგულებელყოფდა პრობლემურ მიდგომებსა და ანალიზის ელემენტებს. არცთუ იშვიათად მოსწავლის დავალება მათემატიკაში შედგებოდა რამდენიმე ათეული საკონკურსო ამოცანისაგან, რაც ახალგაზრდის დიდ ფსიქიკურ- ემოციურ გადატვირთვას იწვევდა. სკოლაშიც რაც შეიძლება მეტი ამოცანა იხსნებოდა ყოველგვარი ღრმა გაანალიზებისა და მოაზრების გარეშე ერთადერთი მიზნით, რომ მოსწავლე საგანგებოდ, მექანიკურად გაეწაფათ ასეთი ამოცანების ამოსახსნელი ტექნიკური მანიპულაციებით.

ერთი მხრივ, იგი უარყოფით გავლენას ახდენდა მოსწავლის ფსიქიკაზე, მეორე მხრივ კი, იმდენად ფორმალურად იყო აბიტურიენტში „გამჯდარი" ეს ცოდნა, რომ მისაღები გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაშიც მცირე ხანში ავიწყდებოდა. ხშირად ასეთებს, შემდგომში, უმაღლეს სასწავლებლებში სწავლაც უჭირდათ.

მაშასადამე, ცოდნა გაიგივებულია ან მხოლოდ ინფორმირებულობასთან, ან მხოლოდ ხელოვნურად გართულებულ სქოლასტიკურ მანიპულაციებში გაწაფვასთან.

შესაბამისად, მათემატიკის სწავლება გაიგივებულია დიდძალი ინფორმაციით (ფორმულები, წესები, თეორემები) და სხვადასხვა კრებულიდან აღებული დიდი რაოდენობის ამოცანებით და მათი ამოსახსნელი ტექნიკური მანიპულაციებით გონების „გადატვირთვასთან", ამასთან, ამ ამოცანებითა და ინფორმაციით მოსწავლის საგამოცდოდ საგანგებოდ გაწვრთნასთან. მათემატიკის ცოდნისა და სწავლისადმი ასეთი მიდგომა, რბილად რომ ვთქვათ, არასწორია.

სამწუხაროდ, ეს წესი მოქმედებდა მრავალი წლის მანძილზე და დიდი დაღი დაასვა მოსწავლეთა სწორ განვითარებას.

დავდექით რა აღნიშნული პრობლემის წინაშე, მივმართეთ გამოსავლის სხვა გზას. ეს გზა გასდევს მთელ სადისერტაციო თემას.

სწორედ თემის **აქტუალობას** განსაზღვრავს საშუალო სკოლებში ამოცანათა ამოხსნის ძიების საყველთაოდ ცნობილი მეთოდების და ჩვენს მიერ შემუშავებული ხერხების, წესების სწავლების აუცილებლობა და მათემატიკის გაკვეთილზე მათი გამოყენების მეთოდიკის დამუშავება.

კვლევის ობიექტს წარმოადგენს მოსწავლეებისათვის საშუალო სკოლის მათემატიკის კურსში პლანიმეტრიული და ტრიგონომეტრიული ამოცანების ამოხსნის ძიების სწავლების პროცესი.

კვლევის საგანს წარმოადგენს მოსწავლეებისათვის ამოცანის მათემატიკური წარმოდგენისა და ამოცანის სტრუქტურის შესწავლა, პლანიმეტრიული და ტრიგონომეტრიული ამოცანების ამოხსნის ძიების საყოველთაოდ ცნობილი და ჩვენს მიერ შემუშავებული ხერხების, ამ წესებისადმი ახალი მიდგომების გაცნობა და მიზანმიმართული სწავლება.

კვლევის მიზანია მოსწავლეებში ამოცანის მათემატიკური წარმოდგენის, მისი განზოგადების, ამოცანის სტრუქტურის წვდომის უნარის შემუშავება, ამოცანათა ამოხსნის ძიების საყოველთაოდ ცნობილი და ჩვენს მიერ შემუშავებული წესების, ხერხების მეთოდიკის დამუშავება და დასაბუთება იმისა, რომ მათი სწავლება შესაძლებელია და აუცილებელი.

კვლევის ჰიპოთეზა. ამოცანის მათემატიკური წარმოდგენისა და სტრუქტურის შესწავლა, საყოველთაოდ ცნობილი და ჩვენ მიერ შემუშავებული ამოცანის ამოხსნის ძიების მეთოდების, ამ მეთოდებისადმი ახალი მიდგომების გაცნობა და სკოლაში განხილვა საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად ამაღლდეს სწავლების ეფექტურობა და ხარისხი, სწავლება წარიმართოს მოსწავლეთა აქტიურ–შემოქმედებითი მუშაობით, მათი დამოუკიდებელი ძიებებისა და სხვადასხვა აღმოჩენების გზით. ეს კი პრობლემურ–ევრისტიკული, შემოქმედებით-განმავითარებელი სწავლებაა.

დასმულმა მიზანმა და ჰიპოთეზამ განსაზღვრა კვლევის შემდეგი ამოცანები:

1. საშუალო სკოლებში პლანიმეტრიისა და ტრიგონომეტრიის სწავლების თეორიისა და პრაქტიკის მდგომარეობის შესწავლა.

2. საშუალო სკოლის სახელმძღვანელოში განთავსებული ამოცანებისათვის მაქსიმალურად განმავითარებელი ფუნქციის მინიჭება (სწორედ ასეთ თვისებას ანიჭებს ამოცანას მათემატიკური წარმოდგენა, სტრუქტურა და მათი თვისებების შესწავლა), რაც შემდგომში უზრუნველყოფს უფრო რთული ამოცანების ამოხსნის ძიების ხერხების ჩამოყალიბებას.

3. პლანიმეტრიული და ტრიგონომეტრიული ამოცანების ამოხსნის ძიების სწავლების მეთოდიკის დამუშავება და მისი ეფექტიანობის შემოწმება.

4. ამოცანის მათემატიკური წარმოდგენისა და სტრუქტურის საშუალებით, საყოველთაოდ ცნობილი და ჩვენ მიერ შემუშავებული მეთოდებით მოსწავლეთა შემოქმედებით-განმავითარებელი სწავლება და მისი ეფექტიანობის შემოწმება.

კვლევის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ დასაბუთებულია სასწავლო პროცესში ამოცანის მათემატიკური წარმოდგენისა და სტრუქტურის სიღრმისეული შესწავლის, მოსწავლეთა მიერ მათი თვისებების გამოვლენის შესაძლებლობა და აუცილებლობა. დასაბუთებულია ზოგიერთი საყოველთაოდ ცნობილი მეთოდის ვარგისიანობა და მნიშვნელობა ამოცანის ამოხსნის ძიებისას იმ შემთხვევაშიც, როდესაც თავად მოცემული მეთოდი ამოცანას ვერ წყვეტს. ეს მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ ზოგჯერ შეიძლება რომელიმე მეთოდმა ამოცანის ამოხსნის ძიება ვერ განახორციელოს, მაგრამ გვიკარნახოს ამოხსნის იდეა.

კვლევის თეორიულ მნიშვნელობას წარმოადგენს ის, რომ შექმნილია გაკვეთილზე გეომეტრიული და ტრიგონომეტრიული ამოცანების ამოხსნის ძიების სწავლების მეცნიერულად დასაბუთებუ-

ლი თეორია. დამუშავებულია სწავლების საყოველთაოდ ცნობილი მეთოდებისადმი ახალი მიდგომის გზები. შემუშავებულია ზოგიერ-თი კონკრეტული მეთოდი, რომელიც ანალიზურ–სინთეზურ მე-თოდს უფრო ნათელს ხდის.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა განისაზღვრება იმით, რომ ამოცანის მათემატიკური წარმოდგენისა და სტრუქტურის და-უფლების უნარი, ამოცანის ამოხსნის ძიების განხილული მეთოდე-ბი და მათდამი ახალი მიდგომები ამაღლებს მოსწავლეთა ცოდნის დონეს, უვითარებს დამოუკიდებელ აზროვნებას, აძლევს საშუალე-ბას აქტიურ–შემოქმედებითად მიუდგნენ ამოცანის ამოხსნას.

დასაცავად გამოგვაქვს შემდეგი დებულებები და დასკვნები:

1. ამოცანათა მათემატიკური წარმოდგენისა და სტრუქტურის შესწავლა, საყოველთაოდ ცნობილი: "ანალიზური და სინთეზური", „ამავალი და დამავალი ანალიზის", „საწინააღმდეგოს დაშვების მე-თოდებისადმი" ახლებური მიდგომები, ასევე „სახელწოდების შეც-ვლისა და შევსების მეთოდების" შესწავლა პასუხობს დღევანდელი სკოლის მოთხოვნებს, რაც მდგომარეობს მოსწავლეთა პრობლემურ–ევრისტიკული და შემოქმედებითი უნარ–ჩვევების დაუფლებაში.

2. აღნიშნული მეთოდების სწავლება ხელს უწყობს მოსწავლეთა მათემატიკური ცოდნის ხარისხის ამაღლებას, ავითარებს მათში აქ-ტიურ–შემოქმედებით აზროვნებას.

3. საჭიროა თითოეული ამოცანის განმავითარებელი თვისების (პოტენციის) სრული გამოვლენა (ეს ეხება სასკოლო სახელმძღვანე-ლოს ამოცანებსაც), რაც მიიღწევა განხილული მეთოდებით.

4. აღნიშნული მეთოდებით შედარებით მცირე ამოცანების გან-ხილვა გვაძლევს დადებით შედეგს. კერძოდ, მოსწავლეებს უვითა-რებს აქტიურ–შემოქმედებითი აზროვნების უნარ–ჩვევებს.

ნაშრომის აპრობაცია. დისერტაციის ძირითადი შედეგები მოხ-სენდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოთვლითი მეთოდებისა და მათემატიკის სწავლების მეთოდიკათა და მათემა-ტიკის დეპარტამენტების მუდმივმოქმედ სამეცნიერო სემინარებს

2005-2009 წლებში, საქართველოს მათემატიკოსთა ყრილობას (ქ.ბა-თუმი, 2009 წელი).

საბოლოო სახით დისერტაცია განხილულ და რეცენზირებულ იქნა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სწავლების მე-თოდიკათა და პედაგოგიკის დეპარტამენტების გაერთიანებულ სხდომაზე.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა მოიცავს შესავალს, ოთხ თავს, მთლიანად 17 პარაგრაფს, 113 ნახაზს, 6 ცხრილს, თითოეული თავის ბოლო დასკვნებს, პედაგოგიურ ექსპერიმენტს, საერთო დას-კვნებს და ციტირებული ლიტერატურის სიას. სულ 149 გვერდია.

ნაშრომში განხილული ამოცანების უმრავლესობა რთული და მომეტებული სიძნელისაა (უმთავრესად ისინი აღებულია ჟურნალ „Квант"-დან). დისერტაციაში მოყვანილი ამოცანებიდან ნათლად ჩანს, ჩვენ მიერ შემოთავაზებული მეთოდები როგორ ამარტივებს ამოცანის ამოხსნის ძიებას და მისაწვდომს ხდის ასეთი ამოცანების განხილვას საშუალო დონის მოსწავლეებთანაც.

II. ნაშრომის ძირითადი შინაარსი

შესავალში დასაბუთებულია საკვლევი თემის აქტუალობა, გან-საზღვრულია ობიექტი, საგანი, მიზანი, ამოცანები. გამოთქმულია ჰიპოტეზა, დასაბუთებულია ნაშრომის მეცნიერული სიახლე, მისი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა.

პირველი თავი – „ამოცანათა ამოხსნის ძიების სწავლების თეორიული და პედაგოგიურ–ფსიქოლოგიური საფუძვლები"- შედ-გება 3 პარაგრაფისაგან.

პირველ პარაგრაფში-„მათემატიკის სწავლების პედაგოგიურ–ფსიქოლოგიური საფუძვლები"-მიმოხილულია სხვადასხვა ფსიქო-ლოგიური ლიტერატურა.

აღნიშნულია, რომ მოსწავლეთა მიერ ცოდნის ათვისების პრო-ცესში აზროვნებას წამყვანი როლი ენიჭება, რადგან ყოველი მასალა

მხოლოდ მაშინ გადაიქცევა ცოდნად, თუ იგი გასაგებია მოსწავლისათვის. გაგება კი მხოლოდ და მხოლოდ აზროვნების ფუნქციაა.

შესასწავლი მასალის გაგება, რასაც ცოდნის ათვისებისათვის ასეთი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, მოსწავლისაგან უმეტესწილად ინტენსიურ, დიდ გონებრივ შრომას მოითხოვს. ამიტომ საჭიროა ინტელექტუალური ძალების აქტუალიზაცია და არა მასალის მექანიკური დაზეპირება. მათემატიკაში გაგების გარეშე წინსვლა თითქმის შეუძლებელია.

იმისათვის, რომ მათემატიკის სწავლება აზროვნების, გაგების დონეზე მიმდინარეობდეს და ამავე დროს აზროვნების განვითარებასაც იწვევდეს, ამისათვის აუცილებელია მასწავლებელმა იცოდეს მოსწავლის აზროვნების ზოგადი ფსიქოლოგიური და ასაკობრივი განვითარების თავისებურებები.

როგორც კი მოსწავლე რაიმე ახალი, მისთვის უცხო ამოცანის წინაშე დადგება, იგი მაშინვე აზროვნების პროცესს მიმართავს. პრობლემის გარეშე აზროვნება არ დაიწყება.

მასწავლებლის ერთ–ერთ ძირითად ამოცანას ის წარმოადგენს, რომ მოსწავლეებს სასწავლო მასალა გაგების დონეზე აათვისებინოს, რისთვისაც აზროვნების აქტუალიზაციაა აუცილებელი. ცოდნის ყოველი ახალი სტრუქტურის სწავლება უნდა იწყებოდეს პრობლემის დასმით. მასალის (ამოცანათა ამოხსნის) სწავლება უნდა გავიგოთ, როგორც აზრობრივი საქმიანობის სწავლება, რომელიც ხორციელდება მასალის შესწავლის (ამოცანათა ამოხსნის) პროცესში. მოსწავლის აზრობრივი საქმიანობის სწავლება უნდა გავიგოთ არა როგორც მზა ფორმულებისა და თეორემების დასწავლა, რომელსაც არ შესწევს უნარი საკმარისი ზომით განუვითაროს მოსწავლეს შემოქმედებითი აზროვნება, არამედ ისე, რომ მოსწავლე აქტიურად მონაწილეობდეს თეორემების, ფორმულების დამტკიცებაში. მათემატიკის გაკვეთილი ისე უნდა წარიმართოს, რომ ის მოსწავლეებში აღვივებდეს აქტიურ გონებრივ საქმიანობას.

მოსწავლეთა აქტიური გონებრივი საქმიანობა იზრდება, თუ მოსწავლეები მასალის გაცნობასთან ერთად ასრულებენ კონკრეტულ ამოცანას, რომელიც მიმართულია ამ მასალის გაგებისაკენ.

მეორე პარაგრაფში-„ამოცანის ცნებისადმი ფსიქოლოგიური მიდგომის არსი"- აღნიშნულია, რომ ცნება „ამოცანა„ ფსიქოლოგიურ გამოკვლევებში განიხილება, როგორც აზროვნების ობიექტი. ამოცანის ამოხსნის პროცესში აზროვნება განსაკუთრებული მოღვაწეობის სახით ვლინდება და ჩნდება შესაძლებლობა სუბიექტის მოღვაწეობის დაგეგმვა და აღწერა მოვახდინოთ, როგორც სხვადასხვაგვარი ამოცანების ამოხსნის პროცესების ერთიანი სისტემისა.

ამოცანის ამოხსნის პროცესი მჭიდროდაა დაკავშირებული აზროვნების ისეთი ხერხების ფორმირებასთან, როგორებიცაა: ანალიზი, სინთეზი, განზოგადება, აბსტრაქცია და სხვა.

ამოცანათა ამოხსნის მსვლელობა, უპირველეს ყოვლისა, თვით ამოცანით განისაზღვრება, რომელიც რაღაც გზებით ქმნის აზროვნების საწყისს დეტერმინაციას. აზროვნების დეტერმინაცია ხორციელდება როგორც პროცესი და მისი ფორმირება უწყვეტად მიმდინარეობს. ფსიქოლოგ კ.სლავსკაიას მიხედვით, „დეტერმინიზმის" პრინციპი გამოდის, როგორც კვლევის ზოგადი მეთოდოლოგიური პრინციპი ცოდნის ნებისმიერ დარგში, ნებისმიერ მეცნიერებაში".

საძიებელი ყოველთვის იმყოფება განსაზღვრულ მიმართებებში მოცემულობასთან. სწორედ ეს დამოკიდებულება არის ამოცანის ის ძირითადი მიმართება, რომელიც მისი ამოხსნის მთელი პროცესის დეტერმინირებას ახდენს.

გ. ბალი მიუთითებს, რომ ფსიქოლოგიურ და პედაგოგიურ ლიტერატურაში ტერმინი ამოცანა გამოიყენება იმ ობიექტების აღსანიშნავად, რომლებიც შემდეგ სამ კატეგორიას განეკუთვნებიან:

1. სუბიექტის წინაშე დასმული მოქმედების მიზნის, მოთხოვნის კატეგორიას.

2. იმ სიტუაციის კატეგორიას, რომელიც მიზანთან ერთად იმ პირობებსაც მოიცავს, რომლებშიც მიზანი უნდა მიღწეულიყო.

3. ამ სიტუაციის სიტყვიერი ფორმულირების კატეგორიას.

ლ. გუროვას მიხედვით, „ამოცანა არის გონებრივი მოღვაწეობის ობიექტი, რომელიც რაიმე პრაქტიკული ხასიათის გარდაქმნაზე, ან თეორიულ კითხვაზე პასუხის გაცემის მოთხოვნას შეიცავს იმ პირობების გათვალისწინებით, რომლებიც ცნობილ და უცნობ ელემენტებს შორის არსებული კავშირების გახსნაში გვეხმარებიან“.

ავტორთა ერთი ნაწილი სუბიექტს რთავს ამოცანის ცნებაში. ისინი ამოცანას განიხილავენ, როგორც სიტუაციას, რომელშიც უნდა იმოქმედოს სუბიექტმა. მათი აზრით, სუბიექტის გარეშე ამოცანა არ არსებობს.

ა.მატიუშკინი ამოცანის ცნებაში არ რთავს მოქმედ პირს, სუბიექტს. ცნებები „პრობლემური სიტუაცია“ და „ამოცანა“ განსხვავებული ცნებებია.

ამ მიდგომით ამოცანა განიხილება, როგორც რეალური სისტემა, რომელიც თავის დასახასიათებლად სუბიექტის მოქმედებას არ საჭიროებს.

მესამე პარაგრაფში-„ამოცანათა ამოხსნის ალგორითმული და ევრისტიკული მეთოდი“-აღნიშნულია სტანდარტულ და არასტანდარტულ ამოცანათა სახე. კერძოდ, სტანდარტულ ამოცანად ითვლება ის ამოცანა, რომლის ამოხსნის ალგორითმიც ცნობილია. ე.ი. ის ეკუთვნის ერთი ტიპის ამოცანათა განსაზღვრულ კლასს.

თუკი ამოცანა არ შეიძლება მივაკუთვნოთ არც ერთი ასეთი სახის კლასს, მაშინ მას არასტანდარტული ეწოდება.

არასტანდარტული ამოცანების ამოხსნის ძირითადი სირთულე გამოიხატება იმაში, რომ არ არსებობს ისეთი ზოგადი მეთოდი (ალგორითმი), რომელთა ცოდნაც გარანტიას მოგვცემდა ამოგვეხსნა ნებისმიერი ამოცანა. არასტანდარტული ამოცანების ამოხსნის სწავლება წარმოადგენს უმთავრესად განმავითარებელ სწავლებას.

მათემატიკის სწავლების ერთ–ერთ ძირითად მეთოდად ითვლება ევრისტიკული მეთოდი. ფსიქოლოგიაში ითვლება, რომ ევრისტიკა არის შემოქმედებითი აზროვნების შესწავლა, პედაგოგიკაში ევრისტიკად იგულისხმება ამოცანათა ამოხსნის მეთოდები და ხერხები. მათემატიკის სწავლებაში ევრისტიკულად ითვლება მეთოდი, როცა მასწავლებელი მოსწავლეებს ასათვისებლად მზა ფაქტებს კი არ აცნობს, არამედ შესაბამისი წინადადებებითა და წესებით მიჰყავს მოსწავლეები მათ აღმოჩენამდე.

ამოცანების ამოხსნასთან დაკავშირებით შეიძლება გამოვყოთ სწავლების სამი სიტუაცია :

1. სტანდარტული ამოცანების ამოხსნა, რომლის ამოხსნის საერთო მეთოდი (ალგორითმი) მოსწავლეებისათვის ჯერ კიდევ უცნობია;
2. სტანდარტული ამოცანების ამოხსნა, რომლის ამოხსნის საერთო მეთოდი (ალგორითმი) მოსწავლეებისათვის უკვე ცნობილია;
3. არასტანდარტული ამოცანების ამოხსნა.

პირველი და მესამე სიტუაცია შეიძლება გავაიგივოთ იმ მსგავსებით, რომ ორივე შემთხვევაში გვიხდება ამოცანის ამოხსნის ძიება. განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ პირველ სიტუაციაში ძიებას ყოველთვის მივყავართ საერთო მეთოდის (ალგორითმის) პოვნაზე.

ალგორითმული ამოცანების განხილვისას საჭიროა სწავლების სტრატეგია ორიენტირებული იყოს იმაზე, რომ მოსწავლეებმა თვითონ აღმოაჩინონ (საჭიროების შემთხვევაში მასწავლებლის დახმარებით) მოცემული ტიპის ამოცანათა ამოხსნის საერთო მეთოდი, შემდეგ კი შეეძლოთ მისი გამოყენება.

არაალგორითმული (არასტანდარტული) ამოცანების განხილვისას სწავლების სტრატეგია ორიენტირებული უნდა იყოს ამოხსნის ძიების მეთოდების სწავლებაზე, რომლის დროსაც მოსწავლე აქტიურად იქნება ჩართული აზროვნებულ მოღვაწეობაში (აქტიურად იაზროვნებს).

მეორე თავი –„ამოცანათა მათემატიკური წარმოდგენა და მისი გამოყენება ამოხსნის ძიების პროცესში“- შედგება სამი პარაგრაფისაგან.

პირველ პარაგრაფში-„ამოცანის მათემატიკური წარმოდგენა“-აღნიშნულია, რომ ნებისმიერი ამოცანის ამოხსნის პროცესში შეიძლება გამოვყოთ ორი მომენტი: ამოცანის წარმოდგენა და ამოხსნის

ძიება. ამოცანის მათემატიკურ წარმოდგენას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც სწორედ მასზეა დამოკიდებული ამოხსნის ძიება.

ერთი და იგივე ამოცანა მათემატიკურად შეიძლება სხვადასხვანაირად წარმოვადგინოთ. კერძოდ, ამოცანის მათემატიკური წარმოდგენა დამოკიდებულია მოსწავლის მათემატიკური ცოდნის დონეზე. ვთქვათ, ამოცანის პირობაში ნახსენები მოცემულობებია $A_1, A_2, \cdots A_n$. ავაგეთ მის მიხედვით ნახაზი, მაშინ სიმრავლეს $A_1, A_2, \cdots A_n$ ნახაზთან ერთად ეწოდება ამოცანის მათემატიკური წარმოდგენა. აღვნიშნავთ P–თი.

ამოცანის მათემატიკური წარმოდგენა დამოკიდებულია თეორიული მასალის ცოდნაზე. კერძოდ, თუ გვაქვს თეორიული ცოდნათა სისტემა U_i და U_j, ამასთან $U_i \subset U_j$ მაშინ, შესაბამისად $P_i \subset P_j$.

საზოგადოდ, მოსწავლე ამოცანის მათემატიკური წარმოდგენის შემდეგ იწყებს ამოხსნის ძიებას. ამისათვის ის ისარგებლებს ამ მათემატიკური წარმოდგენის სხვადასხვა ქვესიმრავლით, რომელთა დახმარებითაც იპოვის სხვადასხვა სიდიდეს, დამოკიდებულებებს.

ამოხსნის ძიების პროცესში ზოგჯერ შეიძლება მოგვიხდეს ისეთი სიდიდეების და დამოკიდებულებების პოვნა, რომლებიც ამოცანაში არ გვჭირდება, ამიტომ მოსწავლეები უნდა მივაჩვიოთ, შეძლონ, გააანალიზონ ამოცანის ამოხსნის ძიების მიმართულებები, გაიაზრონ ამ მიმართულებებიდან რომელია პერსპექტიული, რა თეორემები და თვისებები უნდა გამოვიყენოთ, მათემატიკური წარმოდგენის რომელი ქვესიმრავლეებით უნდა ვისარგებლოთ, რომ ვიპოვოთ სხვადასხვა სიდიდეები და მათი დახმარებით საძიებელი.

ამ პარაგრაფში განხილულია რამდენიმე კონკრეტული ამოცანა. ზოგიერთი ამოცანა უშუალოდ ამოცანის მათემატიკური წარმოდგენით იხსნება, ზოგი კი მოითხოვს დამატებით ძიებას და ახალი დამოკიდებულებების პოვნას.

მეორე პარაგრაფში-„ამოცანის განზოგადებული მათემატიკური წარმოდგენა"- განმარტებულია მისი არსი. კერძოდ, ვთქვათ, გვაქვს ამოცანის მათემატიკური წარმოდგენა რაიმე ნახაზ n-თან ერთად $P_m = (A_1, A_2, \cdots A_m, \text{ნახაზი } n)$.

სიმრავლეს $P_{m+k} = (A_1, A_2, \cdots A_m, A_{m+1} \cdots A_{m+k}, \text{ნახაზი } n')$, სადაც $A_{m+1} \cdots A_{m+k}$ წარმოდგენებიდან თითოეული მიიღება P_m მათემატიკური წარმოდგენის ქვესიმრავლეებიდან, ხოლო ნახაზი n' $A_{m+1} \cdots A_{m+k}$ მათემატიკური წარმოდგენების შესაძლო აღნიშვნით ნახაზ n –ზე ეწოდება მოცემული მათემატიკური წარმოდგენის განზოგადოებული მათემატიკური წარმოდგენა.

ამოცანების განხილვის შემდეგ ვასკვნით, რომ ამოცანის ამოხსნის პოვნა შესაძლებელი გახდა შემდეგნაირად:

ა) მოვახდინეთ ამოცანის მათემატიკური წარმოდგენა და ამოცანა გადაწყდა;

ბ) მოვახდინეთ ამოცანის განზოგადოებული მათემატიკური წარმოდგენა და ამოცანა გადაწყდა;

გ) თუ ზემო შემთხვევებში ამოცანა ვერ გადავწყვიტეთ, მაშინ ვსარგებლობთ განზოგადოებული მათემატიკური წარმოდგენით და მისი დახმარებით ვეძებთ ამოხსნას და ამოცანა შეიძლება გადაწყდეს.

ზოგჯერ ამოცანა ამ გზითაც არ გადაწყდება. ამ შემთხვევაში ბუნებრივად დგება საკითხი ნახაზზე შევასრულოთ დამატებითი აგებები, ანუ შევცვალოთ ნახაზი (ამოცანის სტრუქტურა), რომელიც საშუალებას მოგვცემს, ამოცანა გადავწყვიტოთ. ამის შესახებ მესამე თავში იქნება აღნიშნული.

შენიშვნა: დამატებითი აგება, ნახაზის შეცვლა დამოკიდებულია მიხვედრილობაზე, მოსაზრებულობაზე, ინტუიციაზე, პროგნოზირებაზე (ეს საკითხები მოცემული იქნება IV თავში).

მესამე პარაგრაფში-„მოსწავლეთა დამოუკიდებელი აზროვნების განვითარება ამოცანების მათემატიკური წარმოდგენის სწავლების საშუალებით"-აღნიშნულია, რომ ცნობილ მათემატიკოსსა და პედაგოგს დ.პოიას ჩამოყალიბებული აქვს ამოცანის ამოხსნის ზოგადი წესები, რომელიც მოიცავს ოთხ ეტაპს. თითოეულ ამ ეტაპს ახასიათებს სიძნელე, რომელსაც მოსწავლე აწყდება ამოცანის ამოხსნის ძიებისას.

იმისათვის, რომ მოსწავლეებს განვუვითაროთ დამოუკიდებელი აზროვნება, გამოვუმუშაოთ ამოცანათა დამოუკიდებლად ამოხსნის უნარი, საჭიროა მოვახდინოთ თითოეული ეტაპის შინაარსის აღქმა, განვიხილოთ ის სიძნელეები, რაც შეიძლება წარმოიქმნას ამ ეტაპების დროს.

ფსიქოლოგებისა და პედაგოგ–მეთოდისტების მიერ ჩატარებული გამოკვლევების საფუძველზე აღიარებულია, რომ მოსწავლის მიერ მასალის ათვისება უფრო კარგად მიმდინარეობს არა სახელმძღვანელოზე დაყრდნობით, ან მასწავლებლის საუბრის შემდეგ, არამედ, როდესაც მოსწავლე პირადი კვლევა–ძიების პროცესშია ჩართული, რომლის დროსაც მას შეუძლია თავისუფლად განავითაროს თავისი შემოქმედებითი აქტიურობა.

სწორედ მოსწავლის მიერ პირად კვლევა–ძიებასთან გვაქვს საქმე, როდესაც ის ამოცანას წარმოადგენს მათემატიკურად და შემდეგ ეძებს მის განზოგადებებს, როდესაც მოსწავლეს შესწევს უნარი, დაადგინოს ამოცანის მათემატიკური წარმოდგენის თვისებები, გამოყოს ამოცანიდან საჭირო ფიგურები და შეძლოს მისი თვისებების დადგენა.

განსაკუთრებით გვეხმარება ამოცანის მათემატიკური წარმოდგენა იმ სიძნელეების დაძლევაში, რაც ამოცანის ამოხსნის ძიების სქემის პირველ ეტაპს, ანუ „ამოცანის დასმა და მისი შინაარსის კარგად ათვისებას“ ახასიათებს.

პირველი სიძნელე: ზოგჯერ ამოცანა ისეა ჩამოყალიბებული, რომ მაშინვე არ ჩანს (არაა გასაგები მოსწავლეებისათვის) რა ძირითად ფიგურაზე უნდა აიგოს ნახაზი.

მეორე სიძნელე: ზოგჯერ ამოცანის პირობა ისეა ჩამოყალიბებული, რომ არ გვაქვს ასოითი აღნიშვნები და ეს ამოცანა მოსწავლეთათვის ძნელი გასაგები ხდება.

მესამე სიძნელე: ამოცანა ზოგჯერ ისე რთულადაა ჩამოყალიბებული, რომ ნახაზის ერთიანად აგება შეუძლებელია, ანდა რთულია. ეს კი, თავის მხრივ, ართულებს ამოცანის გააზრებას და

ამიტომ ამოცანის ამოხსნის მოძიების საკითხი ამ შემთხვევაში გართულებულია, ზოგჯერ შეუძლებელიც.

მეოთხე სიძნელე იმაში მდგომარეობს, რომ ამოცანის პირობაში არსებობს დამოკიდებულებები, ზოგჯერ ისიც, რასაც გვეკითხებიან და ერთი შეხედვით ისინი არ ჩანს.

მოყვანილი ამოცანებიდან ჩანს, რომ ეს სიძნელეები შეიძლება დაძლეულ იქნეს ამოცანის მათემატიკური წარმოდგენით.

განხილულია ამ სიძნელეების დაძლევის გზები.

ამ თავში განხილულია პლანიმეტრიული ამოცანები, რომლებშიც ფართოდ გამოიყენება მათემატიკური წარმოდგენა და მისი დახმარებით ამოხსნის ძიება.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ამ ამოცანებიდან მე–7 და მე–8 ამოცანები ამოხსნილია სხვადასხვა გზით (მე-7 სამი, ხოლო მე-8-ოთხი გზით).

მესამე თავი-„ამოცანის სტრუქტურა“- შედგება სამი პარაგრაფისაგან.

პირველ პარაგრაფში-„სტრუქტურის ცნება“-განხილულია საკითხი, რომ ამოცანის უკეთ გაგებისათვის, მისი ამოხსნის ძიების პროცესის უკეთ წარმართვისათვის, აუცილებლობას წარმოადგენს, მოსწავლეები დაეუფლონ ამოცანაში მონაწილე ობიექტების გამოვლენას და ამ ობიექტებს შორის მიმართების დადგენას.

ვთქვათ, M სიმრავლეში, მის ელემენტებს შორის, არსებობს S მიმართებები. Mსიმრავლეს მასზე არსებული S მიმართებებით ეწოდება M სიმრავლის სტრუქტურა და აღინიშნება (M,S)–ით, ხოლო სიმრავლეს, რომლის თითოეული ელემენტი უჩვენებს M სიმრავლის ობიექტებს შორის S მიმართებით მიღებულ თვისებას, დამოკიდებულებას ეწოდება (M,S) სტრუქტურის თვისებები. აღვნიშნოთ $P=\{P_1,P_2,\cdots P_n\}$. n უჩვენებს ამ თვისებების, დამოკიდებულებების რაოდენობას. (M,S) სიმრავლეს P სიმრავლესთან ერთად, ეწოდება მოცემული ამოცანის მათემატიკური აღწერილობა. აღინიშნება (M,S,P).

თუ M სიმრავლეში გავაჩენთ დამატებით ელემენტს, ე.ი. M სიმრავლეს შევცვლით $M' \supset M$ სიმრავლით, მაშინ, ცხადია, მოსალოდნელია დამატებითი მიმართებების გაჩენა და ასევე P წინადადებათა სიმრავლეც შეიძლება გაფართოვდეს P'–მდე, ისე რომ $P' \supset P$.

აღვნიშნოთ U_n–ით თეორიული მასალა, რომელიც მოთავსებულია სახელმძღვანელოში n პარაგრაფის ჩათვლით. თუ $U_n \subset U_m$, მაშინ $P \cap U_n \subset P \cap U_m$ და $(M, S, P \cap U_n) \subset (M, S, P \cap U_m)$, აქ $P \cap U_n$ აღნიშნავს ამოცანის სტრუქტურის თვისებებს U_n თეორიულ ცოდნათა სიმრავლეში. $(M, S, P \cap U_n)$ აღნიშნავს ამოცანის მათემატიკური სიტუაციის აღწერილობას U_n თეორიულ სიმრავლეში.

მოცემული მათემატიკური სიტუაციიდან (წინადადებიდან) მოსწავლეები დავაუფლოთ მასში შემავალ სიმრავლეთა (ობიექტთა) გამოყოფას, შემდეგ მათ შორის მიმართების დამყარებას და შესაბამისად სტრუქტურის თვისებების პოვნას სწავლების თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს. თვით" მათემატიკა არის მეცნიერება მათემატიკური სტრუქტურების შესახებ, რომლებიც, უპირველეს ყოვლისა, სიმრავლეებია მათზე მოცემული მიმართებებით".

სწავლების თვალსაზრისით ჩვენ ისე უნდა შევასწავლოთ მოცემული მათემატიკური სიტუაციის მიხედვით სტრუქტურის გამოყოფა და მისი საშუალებით ამ სტრუქტურის თვისებების გამოყვანა, რომ მოსწავლეებს დამოუკიდებლად შეეძლოთ ამის წარმოება.

უ. რეიტმანი აღნიშნავს „... თუ შევეცდებით გავიგოთ როგორ ხსნიან ადამიანები რომელიმე სახის ამოცანას, აუცილებელია გვქონდეს ნათელი წარმოდგენა ამოსახსნელი ამოცანის სტრუქტურის შესახებ".

განხილულია ამოცანა, რომელიც ასეთნაირად გადაწყდება: ან თეორიულ მასალათა სიმრავლეს გავზრდით, ანდა M სიმრავლეში გავაჩენთ დამატებით ელემენტებს, ე.ი. გადავალთ ისეთ $M' \supset M$, რომ ამოცანა თავდაპირველ თეორიულ მასალათა სიმრავლეში გადაწყდეს.მაგალითად, გვაქვს ΔABC მახვილკუთხაა და ცნობილია,- რომ $AB = a$; $AC = b$; $\angle A = \alpha$. ამოვხსნათ ეს სამკუთხედი.

ამ ამოცანას $(M, S) \cap U_7$ სტრუქტურით და მისი თვისებებით ვერ გადავწყვეტთ, ხოლო $(M, S) \cap U_{11}$ სტრუქტურით და მისი შესაბამისი თვისებებით გადაწყდება, ან გადავალთ $M' \supset M$ სიმრავლეზე ისეთზე, რომ $(M', S') \cap U_7$ სტრუქტურით და მისი შესაბამისი თვისებებით ამოცანა გადაწყდება (საკმარისია B-დან გავავლოთ სიმაღლე).

მეორე პარაგრაფში-„ამოცანის სტრუქტურის გამოყენება ამოცანის ამოხსნის ძიებისას"-განხილულია ამოცანების ამოხსნა.

ამასთან აღნიშნულია, რომ ზოგჯერ ამოცანა იხსნება თავდაპირველი სტრუქტურით, ზოგჯერ კი საჭიროა მისი გაფართოება. არის ამოცანები, რომლებიც თავდაპირველი სტრუქტურით რთულად გადაწყდება, ხოლო სტრუქტურის გაფართოებით შედარებით მარტივად. განხილულია კონკრეტული ამოცანები და ნაჩვენებია, როგორ გვეხმარება ამოცანის სტრუქტურა, ამ სტრუქტურის თვისებები ამოცანის ამოხსნის ძიებისას.

ამოცანის ამოხსნის ძიებისას ჩვენ ვაწყდებით ამოცანის სიტუაციის შედეგად მიღებულ ობიექტთა სიმრავლის აღწერის (შედგენის), მისი სტრუქტურის და სტრუქტურის თვისებების დადგენის აუცილებლობას.

აქვე შევნიშნოთ, რომ შეიძლება სრულყოფილად მოცემული ამოცანის მათემატიკური აღწერა და სტრუქტურა არ დაგვჭირდეს. შეიძლება დაგვჭირდეს მისი რომელიმე ქვესიმრავლე.

ამ პარაგრაფში მოცემულია **ამოცანა 9**, **ამოცანა 10**, **ამოცანა 11**. თითოეული ამოხსნილია სამი გზით

შენიშვნა: როგორც II თავში აღვნიშნეთ, დამატებითი აგება, ნახაზის შეცვლა დამოკიდებულია მიხვედრილობაზე, მოსაზრებულობაზე, ინტუიციაზე, პროგნოზირებაზე. ამოცანის ობიექტთა გამოყოფა და მათ შორის მიმართებების დადგენა ზრდის იმის ალბათობას, რომ ეს ყოველივე წარმატებით განვახორციელოთ.

ამოცანების სტრუქტურისა და მისი თვისებების დაუფლებისას (შესწავლისას) იზრდება მათი ამოხსნის ალბათობა. ამავე დროს, რაც მთავარია, ამოცანისადმი აღნიშნულ მიდგომას მივყავართ სხვადასხვა იდეებთან, გვაძლევს საშუალებას, დამოუკიდებლად გავაკეთოთ

სხვადასხვა მცირე აღმოჩენები, გამოვავლინოთ სხვადასხვა თვისებები, გამოვიმუშაოთ და აღმოვაჩინოთ სხვადასხვა ხერხები, რომლებიც შეიძლება გამოვიყენოთ სხვადასხვა ამოცანების ამოხსნისას. ასეთი მუშაობა წარმოადგენს შემოქმედებით მუშაობას იმ შემთხვევაშიც, როდესაც ამოცანას ვერ გადავწყვეტთ (ამოვხსნით). ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად ერთი ამოცანის ამოხსნა რამოდენიმე გზით უფრო სასარგებლოა, ვიდრე რამდენიმე ამოცანის ერთი გზით ამოხსნა. ამ დროს მაქსიმალურად გამოვლინდება თითოეული ამოცანის განმავითარებელი თვისება, ხდება მოსწავლეთა მათემატიკური ცოდნის აქტუალიზაცია და იზრდება საგნის მიმართ ინტერესი. გარდა ამისა, ღრმად ვითვისებთ და შეგვიძლია გამოვავლინოთ ობიექტებს შორის დამოკიდებულებები, რაც საფუძველს გვიქმნის წარმატებით განვახორციელოთ სხვა ამოცანების ამოხსნაც.

მესამე პარაგრაფში-„ამოცანის სტრუქტურის შესწავლა (ტრაპეციის მაგალითი)“- აღნიშნულია, რომ მათემატიკის შესწავლის პროცესში საჭიროა, მასწავლებელი ფართოდ იყენებდეს აქტიური სწავლების პრინციპს, როცა მოსწავლეს საშუალება ექნება თვითონ აღმოაჩინოს მათემატიკური კანონზომიერება.

ფსიქოლოგიაში ცნობილია მეხსიერების ძირითადი კანონზომიერება „თუ დაცულია ორი პირობა: მოსწავლეები ასრულებენ სასწავლო მასალაზე აქტიურ აზრობრივ საქმიანობას და ეს საქმიანობა ხელს უწყობს მასალის სიღრმისეულ გაგებას, მაშინ ხდება მასალის წარმატებული დამახსოვნება“. ამასთან, „მასალის შესწავლის პროცესში ნებისმიერი აზრობრივი საქმიანობის ხერხის გამოყენებას მივყავართ მასალის ეფექტურ ათვისებაზე“. სწორედ აზრობრივ საქმიანობასთან გვაქვს საქმე, როდესაც ვსწავლობთ ამოცანის სტრუქტურას და ვავლენთ ამ სტრუქტურის თვისებებს.

განხილულია ის ძირითადი სტრუქტურები, რაც შეიძლება იყოს ტრაპეციის შემთხვევაში.

პარაგრაფის ბოლოს განხილულია ორი ამოცანა, რომლებშიც ნათლად ჩანს, როგორ გვეხმარება ეს ძირითადი სტრუქტურები ამოცანის ამოხსნის მოძებნაში. აქედან პირველი ამოცანა არ მოითხოვს

თავდაპირველი სტრუქტურის შეცვლას (ე.ი. მოითხოვს მხოლოდ მოცემული სტრუქტურის თვისებების გამოვლენას). ხოლო მეორე ამოცანა მოითხოვს თავდაპირველი სტრუქტურის შეცვლას. ე.ი. მიღებული სტრუქტურის თვისებების გამოვლენას.

ამოხსნილი ამოცანებიდან ნათლად ჩანს, თუ ჩვენ გვეცოდინებოდა ის ძირითადი სტრუქტურები, რაც შეიძლება გვქონდეს ტრაპეციის შემთხვევაში, მაშინ ამ ამოცანების ამოხსნა სიძნელეს აღარ წარმოადგენდა.

I თავში განხილული საკითხის გამეორება რომ არ გამოგვივიდეს, გავარკვიოთ პრობლემური სიტუაციის ცნება. სხვადასხვა მეცნიერთა და მკვლევართა აზრის გათვალისწინებით , სიმრავლეს, რომელიც შედგება ელემენტებისაგან, ამ ელემენტებს შორის არსებული მიმართებებისაგან, ანუ ამ ელემენტების თვისებებისაგან – სისტემა ეწოდება.

განსაზღვრულ პირობებში, რთული სისტემის დროს ადამიანი – სიტუაცია (სიტუაციის ქვეშ იგულისხმება გარკვეული სისტემა) – წარმოიქმნება ამოცანა.

თუ ადამიანისთვის, რომელიც კონტაქტში შევიდა P სიტუაციასთან, ცნობილია ამ სიმრავლის ყველა ელემენტი და ცნობილია ამ ელემენტთა ყველა თვისება, მათ შორის მიმართებები, რომლებიც საკმარისია ამ სიმრავლის, როგორც ერთიანი მთლიანის არსებობისათვის (ე.ი. როგორც სისტემის). მაშინ ასეთ P სიტუაციას ეწოდება სტაციონალური მოცემული ადამიანის მიმართ.

თუ ადამიანისათვის არ არის ცნობილი თუნდაც ერთი ელემენტი, ერთი თვისება, მიმართება, მაშინ ასეთ სიტუაციას ეწოდება პრობლემური მოცემული ადამიანის მიმართ.

ამოვხსნათ ამოცანა ნიშნავს, გარდავქმნათ მოცემული პრობლემური სიტუაცია მის შესაბამის სტაციონალურ სიტუაციად, ან დავადგინოთ, რომ ასეთი გარდაქმნა მოცემულ პირობებში შეუძლებელია.

ბუნებრივია ამოცანის ამოხსნის პროცესი განისაზღვრება როგორც იმ ადამიანის მიზანმიმართული სააზროვნო, პრაქტიკული საქმიანობა, რომელიც ახორციელებს ამოცანის ამოხსნას.

ევრისტიკული საქმიანობა და ევრისტიკული პროცესები მართალია თავისთავში შეიცავენ გონებრივ ოპერაციებს, მაგრამ ამასთანავე ფლობენ ზოგიერთ სპეციფიკას. სწორედ ამიტომ ევრისტიკული საქმიანობა განხილულ უნდა იქნეს ადამიანის აზროვნების ისეთ სახესხვაობად, რომელიც ქმნის მოქმედებების ახალ სისტემას, ან აღმოაჩენს ადამიანის გარემომცველი ობიექტების მანამდე უცნობ კანონზომიერებებს.

წინა თავებიდან (თავი I-III) და ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ამოცანების ამოხსნის პროცესი პრობლემურ-ევრისტიკული საქმიანობაა. შესაბამისად, სწავლება პრობლემურ-ევრისტიკულია, რომელთა განხორციელებას ახალ იმპულსებს მიანიჭებს ამოხსნის ძიების მეთოდები და ამ მეთოდებისადმი ახალი მიდგომები, რაც სწავლებას შემოქმედებით–განმავითარებელს გახდის. ეს განხილულია IV თავში.

მეოთხე თავი „ამოცანების ამოხსნის ძიების ზოგიერთი მეთოდი“ შედგება 8 პარაგრაფისაგან.

პირველ პარაგრაფში-„ანალიზი და სინთეზი“-გადმოცემულია ამ მეთოდების არსი. ანალიზი ორი სახისაა:

ა) როდესაც საძიებლიდან გადადიან ამოცანის მოცემულობებისაკენ;

ბ) როდესაც მთელს ანაწევრებენ ნაწილებად.

შესაბამისად, სინთეზიც გვაქვს ორი სახის:

ა) როდესაც ამოცანაში მოცემულობებიდან გადადიან საძიებლისაკენ.

ბ) როდესაც ელემენტები ერთიანდებიან ერთ მთლიანობაში.

ანალიზი საძიებლიდან მოცემულობებისაკენ არის ორი სახის-აღმავალი და დამავალი.

დამავალი ანალიზის შესახებ ზოგიერთ მეთოდურ ლიტერატურაში გავრცელებულია აზრი, რომ თუ მსჯელობის ბოლოს მიღებული შედეგი ჭეშმარიტია, მაშინ ამ შემთხვევაში არ შეიძლება გვქონდეს ზუსტი აზრი დასამტკიცებელის ჭეშმარიტობა–მცდარობის შესახებ. ჩვენ მიერ ეს საკითხი შედარებით სრულყოფილია (ასევე ზოგიერთ მეთოდურ ლიტერატურაშიც): თუ მიღებულია ჭეშმარიტი შედეგი, უნდა შევამოწმოთ მსჯელობის შებრუნებულობა, კერძოდ, თუ ყველა მსჯელობა შებრუნებულია, მაშინ დასამტკიცებელი სამართლიანია. ხოლო თუ მსჯელობებს შორის არის არაშებრუნებულიც, მაშინ უნდა გამოვიყენოთ ამოცანის ამოხსნის ძიების სხვა მეთოდი. დამავალი ანალიზით ამოცანების ამოხსნის ძიებისას მოსწავლეებს უნდა ავუხსნათ, რომ შებრუნებული მსჯელობის ჩატარება აუცილებელია, როდესაც ჭეშმარიტი შედეგია მიღებული. უნდა განვიხილოთ შესაბამისი ამოცანებიც. მოსწავლეებმა არ უნდა იფიქრონ, რომ რადგანაც შედეგი ჭეშარიტია, მოცემული ამოცანაც ჭეშმარიტია.

მართალია ზოგჯერ დამავალი ანალიზი უძლურია ამოცანა ამოხსნას, მაგრამ მისი ჩატარება გვიჩვენებს (გვკარნახობს) ამოცანის ამოხსნის მოძებნის გარკვეულ იდეას. განხილულია შესაბამისი მაგალითიც. <u>ეს დამავალი ანალიზისადმი, პრინციპულად განსხვავებული მიდგომაა, რომელიც მეთოდურ ლიტერატურაში არსად არ შეგვხვედრია</u>.

აღმავალი ანალიზი შემოწმებას არ საჭიროებს, რადგანაც ის ფაქტიურად გამოიყენება სინთეზურ მეთოდთან ერთად.

მეორე პარაგრაფში-„აღმავალი და დამავალი ანალიზის გამოყენება გეომეტრიული თეორემების დამტკიცებისას“-განხილულია ზოგიერთი თეორემა სასკოლო სახელმძღვანელოდან.

ჩატარებული პედაგოგიური ექსპერიმენტის შედეგად დავრწმუნდით, რომ ანალიზური მეთოდის სისტემატურმა გამოყენებამ ხელი შეუწყო მოსწავლეთა დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებას.

მაგალითად, თეორემა- წრეწირისადმი ერთი წერტილიდან გავლებული მხებისა და მკვეთისათვის სამართლიანია: მხების კვადრატი ტოლია მკვეთის გარე ნაწილის ნამრავლს მკვეთზე. შესაბამისად,

შეიძლება ამოცანა მათემატიკურადაც წარმოვადგინოთ. ამის შემდეგ მოცემული თეორემის დამტკიცება სახელმძღვანელოში, მოცემულია ხელოვნური გზით (სინთეზი). ამიტომ მოსწავლეებისათვის ძნელი მისახვედრია, რატომ უნდა გაევლოთ ქორდები. ამასთან ეს იწვევს მათ გარკვეულ „პროტესტს“. რატომ თავად ვერ მიხვდა ამ ქორდების გავლების აუცილებლობას.

თუ ჩავატარებთ აღმავალ ანალიზს, ე.ი., დავუშვებთ, რომ სამართლიანია დასამტკიცებელი, მაშინ მოცემული მათემატიკური წარმოდგენიდან გადავალთ ახალ წარმოდგენაზე, რომლიდანაც შეიძლება დავასკვნათ, რომ მოცემული თეორემის დამტკიცება ნიშნავს დავამტკიცოთ სამკუთხედთა მსგავსება. სწორედ ეს „გვკარნახობს“, გავაჩინოთ ნახაზზე შესაბამისი სამკუთხედები.

მესამე პარაგრაფში-„საწინააღმდეგოს დაშვების მეთოდი“-განმარტებულია მისი არსი. გარკვეულწილად ჩვენ მიერ სრულყოფილია აღნიშნული მეთოდი. კერძოდ, ვთქვათ, მოგვეთხოვება A წინადადების სამართლიანობის დამტკიცება. დავუშვათ $\bar{A}$ სამართლიანია და მისგან მივიღეთ B ჭეშმარიტი შედეგი $\bar{A} \Rightarrow B$, ამასთან თუ ყველა მსჯელობა შებრუნებადია, მაშინ ჭეშმარიტია $\bar{A}$ და მცდარია A. განხილულია შესაბამისი მაგალითიც.

მეოთხე პარაგრაფში-„ ამოცანათა ამოხსნის ძიება სხვადასხვა მეთოდის კომბინაციით“- წინა თავებში განხილული ზოგიერთი ამოცანა ამოხსნილია სხვადასხვა მეთოდის კომბინაციით. შემოღებულია ე.წ. აზროვნული მოქმედების მეთოდების ცნება და აღნიშნულია, რომ თითოეული მათგანი უნდა გავითვალისწინოთ ყოველი ამოცანის დროს და ისინი უნდა იყოს განუყოფელი ნაწილი ამოხსნის ძიებისას.

ამოხსნილია ერთი ამოცანა ოთხი გზით. ნაჩვენებია, როგორ გვეხმარება აზროვნული მოქმედების მეთოდები ამ ამოცანის ამოხსნის იდეის მოძებნისას.

მეხუთე პარაგრაფში- „ტრიგონომეტრიაში დანაწევრების ფორმაში ანალიზის გამოყენება“, ჩვენ მიერ შემოღებულია გატოლებადი,

გაუტოლებადი და განზოგადებულ გატოლებადი არგუმენტების ცნება. ნაჩვენებია, რა არსებით როლს თამაშობენ აზრობრივი მოქმედების მეთოდები დანაწევრების ფორმის ანალიზთან ერთად ტრიგონომეტრიული ამოცანების ამოხსნისას. განხილულია შესაბამისი მაგალითებიც.

მეექვსე პარაგრაფში- “ ზოგიერთი კონკრეტული მეთოდი“- განხილულია შევსებისა და სახელწოდების შეცვლის (გადარქმევის) მეთოდები.

პლანიმეტრიული ამოცანების ამოხსნისას ისინი მნიშვნელოვან როლს თამაშობენ. შევსების მეთოდი გულისხმობს ნახაზის შევსებას იმ სიდიდეებით, რომლებიც მოცემულია ცხადი, თუ არაცხადი სახით. ასევე უცნობი გვერდებისა და კუთხეების გადატანას ნახაზზე მათი დაახლოების მიზნით.

სახელწოდების შეცვლის (გადარქმევის) მეთოდი გულისხმობს ერთი ფიგურის ელემენტების განხილვას მეორე ფიგურასთან (ან ფიგურის ელემენტთან) მიმართებაში, რაც თავისთავად იწვევს სახელწოდების შეცვლას.

მაგალითად, ვთქვათ გვაქვს ასეთი სიტუაცია: ABC სამკუთხედში ჩახაზულია წრეწირი. Aწვეროდან გავლებული წრფე გაივლის წრეწირის ცენტრში და BC გვერდს კვეთს Kწერტილში.

მეშვიდე პარაგრაფში-„თეორემის აგებულების გამოყენება ამოცანების ამოხსნის ძიებისას“- განხილულია ოთხივე სახის თეორემა.

საზოგადოდ პირდაპირი და შებრუნებული თეორემა ერთდროულად ჭეშმარიტი (ე.ი. ექვივალენტური) არ არის, მაგრამ ზოგჯერ შებრუნებული თეორემის (ამოცანის) განხილვა გვკარნახობს მოცემული ამოცანის ამოხსნის ძიების იდეას. ამას შეიძლება ვუწოდოთ შებრუნებული ამოცანის მეთოდი.

მეცხრე პარაგრაფში-„სტერეომეტრიული ამოცანების ამოხსნა პლანიმეტრიულ ამოცანებზე დაყვანის მეთოდი“-ნაჩვენებია, როგორ შეიძლება გაადვილდეს ამოცანის ამოხსნის მოძებნა, როდესაც ვფლობთ ამოცანის სტრუქტურას.

საბოლოო დასკვნები

1. მასწავლებელმა მოსწავლეები აქტიურ აზროზრივ საქმიანობაში უნდა ჩართოს. ცოდნის ყოველი სტრუქტურა უნდა იწყებოდეს პრობლემის დასმით, რაც მოსწავლეს აიძულებს იფიქროს და შემოქმედებითად გადაამუშაოს მანამდე მიღებული ცოდნა.

სტანდარტული ამოცანები და თეორიული მასალა მოსწავლეებს თადაპირველად უნდა მიეწოდოს, როგორც გარკვეული პრობლემა, რომელთა ამოხსნის შემდეგ მოსწავლეები დაადგენენ საერთო კანონზომიერებას, ფორმულას, წესს, მათი ამოხსნის ალგორითმს.

აქტიური აზროზრივი საქმიანობა იზრდება, როდესაც მოსწავლეები მასალის გაცნობასთან ერთად ასრულებენ კონკრეტულ დავალებას, რომელიც მათ ეხმარებათ მასალის გაგებაში.

2. მოსწავლეები უნდა დავაუფლოთ ამოცანის მათემატიკურ წარმოდგენას, მის განზოგადებას, ამოცანის სტრუქტურას, მის გაფართოებას, მისი ელემენტების გამოყოფას, მათ თვისებებს, რომლებიც მოსწავლეებს შეუქმნის საფუძველს, ჩაერთონ პირადი კვლევა--ძიების პროცესში, თვითონ გააკეთონ „აღმოჩენები“.

3. მოსწავლეებს უნდა ვასწავლოთ, რომ მაქსიმალურად შეძლონ თითოეული ამოცანის განმავითარებელი თვისების (პოტენციის) გამოვლინება (ეს ეხება თეორიულ მასალასაც), რომელიც მათ უფრო რთული ამოცანების ამოხსნის წარმატებული ძიებისათვის მყარ საფუძველს შეუქმნის.

4. მოსწავლეებს ვასწავლოთ ანალიზური და სინთეზური მეთოდები, მათი გამოყენება, მათდამი ახალი მიდგომები.

კერძოდ, დამავალ ანალიზს შეუძლია ამოცანა გადაწყვიტოს იმ შემთხვევაშიც, თუ შედეგად მიღებულია ჭეშმარიტი შედეგი და ყველა მსჯელობა შებრუნებულია. ამასთან, დამავალმა ანალიზმა, შესაძლოა, საკითხი ვერ გადაწყვიტოს, მაგრამ მისმა ჩატარებამ გვიკარნახოს ამოცანის ამოხსნის გარკვეული იდეა, რომელიც შემდეგში ამოცანის ამოხსნის ძიებას გაამარტივებს.

5. მოსწავლეებს შევასწავლოთ შევსებისა და სახელწოდების შეცვლისა და მათი განზოგადებული მეთოდები, დავაუფლოთ ისინი მათ პრაქტიკულ გამოყენებას.

6. მოსწავლეებს ვასწავლოთ თეორემის აგებულება, რათა წარმატებით შეძლონ მისი გამოყენება ამოცანის ამოხსნის ძიებისას. ამასთანავე, საჭიროა მოსწავლეებს გავაცნოთ შებრუნებული ამოცანის განხილვის მნიშვნელობა. კერძოდ, ზოგჯერ შეიძლება შებრუნებულმა ამოცანის განხილვამ გვიკარნახოს თავდაპირველი ამოცანის ამოხსნის იდეა.

7. მოსწავლეებს გავაცნოთ გატოლებადი და გაუტოლებადი არგუმენტების არსი, რომლებიც ანალიზთან ერთად ტრიგონომეტრიული ამოცანების ამოხსნის ეფექტური საშუალებაა.

8. მოსწავლეები უნდა მივაჩვიოთ, რომ ამოცანის ამოხსნის ძიებისას თითოეული ნაბიჯი იყოს გააზრებული, ახსნილი, აზროზრივ მოქმედებაზე დამყარებული, შეეძლოთ გარკვეული შედეგის განჭვრეტა, პროგნოზირება, ლოგიკური დასაბუთება, ერთი ამოცანის მეორესთან დაკავშირება.მოკლედ რომ ვთქვათ, უნდა ვეცადოთ მოსწავლეებს ჩამოუყალიბდეთ მათემატიკური აზროვნების კომპონენტები.

გამოკვლევის შედეგები ადასტურებს ჰიპოტეზას, რომ ამოცანის მათემატიკური წარმოდგენისა და სტრუქტურის შესწავლა, საყოველთაოდ ცნობილი და ჩვენს მიერ შემუშავებული ამოცანის ამოხსნის ძიების მეთოდების სკოლაში განხილვა და ამ მეთოდებისადმი ახალი მიდგომები საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად ამაღლდეს სწავლების ეფექტურობა და ხარისხი, სწავლება წარიმართოს მოსწავლეთა აქტიურ–შემოქმედებითი მუშაობით, მათი დამოუკიდებელი ძიებებისა და სხვადასხვა აღმოჩენების გზით, ანუ, განხორციელდეს შემოქმედებითი განმავითარებელი სწავლება.

სასკოლო რეფორმის ძირითადი მიმართულება მოითხოვს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას. მათემატიკაში ეს მიიღწევა განხილული მეთოდების შესწავლით.

პედაგოგიურმა ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ სწავლების პროცესი, რომელიც მიმდინარეობდა ჩვენ მიერ შემუშავებული მეთოდიკით, მოსწავლეებში ამაღლებს ამოცანებისადმი (საერთოდ მათემატიკისადმი) ინტერესს, განუმტკიცებს საკუთარი თავის რწმენას და რადგან ეს ცოდნა მყარად არის გამჯდარი მოსწავლეებში, ქმნის საფუძველს მათემატიკის შემდგომი შესწავლისათვის.

დისერტაციის შედეგები გამოქვეყნებულია დისერტანტის შემდეგ პუბლიკაციებში:

1. ტრიგონომეტრიულ განტოლებათა ამოხსნა არგუმენტთა გატოლების ხერხით, საქართველოს მეცნიერებათა აღორძინების ფონდის პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტი", №2(5), თბილისი, 1999 წელი, გვ.182-185.

2. პლანიმეტრიული ამოცანების ამოხსნის ორი განსხვავებული მეთოდი, საქართველოს მეცნიერებათა აღორძინების ფონდის პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტი", №2 (5), თბილისი, 1999 წელი, გვ.186-189.

3. სტერეომეტრიული ამოცანების ამოხსნა პლანიმეტრიულ ამოცანებზე დაყვანის მეთოდით, საქართველოს მეცნიერებისა და საზოგადოების განვითარების ფონდის პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტი", №3(11), თბილისი 2001 წელი, გვ.135-138.

4. პლანიმეტრიული ამოცანების ამოხსნის შევსებისა და სახელწოდების შეცვლის მეთოდების განსაზღვრა, საქართველოს მეცნიერებისა და საზოგადოების განვითარების ფონდის პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტი", №3 (11), თბილისი, 2001 წელი, გვ.139-142.

5. ზოგიერთი საკითხი მოსწავლეთა მათემატიკური აზროვნების განვითარების შესახებ, ქ. ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2002 წელი, 64 გვ. (თანაავტორები: ბუჭუხიშვილი მ., კაკუშაძე ნ., მეფისაშვილი მ.).

6. ამოცანის სტრუქტურა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქუთაისის სამეცნიერო ცენტრის შრომები, IX, „მეცნიერება", თბილისი, 2004 წელი, გვ. 80-83.

7. ამოცანის სტრუქტურის გამოყენება ამოხსნის ძიებისას, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქუთაისის სამეცნიერო ცენტრის შრომები, IX, „მეცნიერება", თბილისი, 2004 წელი, გვ. 84-88.

8. საწინააღმდეგოს დაშვების მეთოდი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქუთაისის სამეცნიერო ცენტრის შრომები, IX, „მეცნიერება", თბილისი, 2004 წელი, გვ. 90-92.

9. ამოცანების ამოხსნის ძიება სხვადასხვა მეთოდის კომბინაციით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქუთაისის სამეცნიერო ცენტრის შრომები, IX, „მეცნიერება", თბილისი, 2004 წელი, გვ. 93-98.

10. ამოცანების ამოხსნა აღმავალი და დამავალი ანალიზის საშუალებით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქუთაისის სამეცნიერო ცენტრის შრომები, IX, „მეცნიერება", თბილისი, 2004 წელი, გვ. 99-104.

11. აღმავალი და დამავალი ანალიზის გამოყენება გეომეტრიული თეორემების დამტკიცებისას, "ფიზიკა და მათემატიკა სკოლაში", 2005 წელი, №121, გვ. 46-47.

Кутаисский государственный университет
имени Акакия Церетели

На правах
рукописи

Дмитрий Гошхетелиани

Повышение эффективности обучения математике
на третьей ступени средней школы

Автореферат

диссертации на соискание академической степени
доктора просвещения

Кутаиси
2010

Труд выполнен в государственном университете
имени Акакия Церетели

Научные руководители :

Гигла Ониани, академик Академии наук просвещения Грузии, доктор педагогических наук, полный профессор государственного университета имени Акакия Церетели;

Николай Нуцубидзе, кандидат философских наук

Официальные оценители :

Сергей Топуриа, доктор физико-математических наук, полный профессор Грузинского технического университета;

Тамаз Моралишвили, доктор педагогических наук, полный профессор государственного университета имени Акакия Церетели

Защита диссертации состоится "-----" Марта 2010 г. "-----" часов на заседании диссертационного совета педагогического факультета государственного университета имени Акакия Церетели

Адрес :4600 , Кутаиси, ул. Тамар мепе. №59 аудитория №____

Автореферат разослан «-------- « февраля 2010 г.

Ознакомление с диссертацией возможно в научной библиотеке государственного университета имени Акакия Церетели.
Адрес: 4600, Кутаиси, ул.Тамар мепе №59.

Ученый секретарь диссертационного
совета, доктор просвещения,
ассоциированный профессор Имер Басиладзе

I. Общая характеристика труда

Актуальность темы. Общеобразовательная школа переходит на новый этап своего развития, что в корне меняет ее. Уже начата радикальная реформа, которая охватывает не только создание новой законодательной базы и законополагающих нормативных документов, но и новые подходы к учению и обучению.

